ოქმი:**ო12. 3723089001**

თარიღი:**30/03/2023**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 29 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. მელუა, ნ. ჭანიშვილი, გ. სირაძე, ნ.ღაჟონია, მ. ვაშალომიძე.
სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მერიისა და USAID-ის ერთობლივი პროექტის ექსპერტი - რ. ბოლქვაძე..

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
მომხსენებელი: ქ. ხომერიკი
თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა საკითხის განხილვის დაწყებამდე სიტყვა მოხსენებისათვის მისცა მუნიციპალიტეტის მერიისა და USAID-ის ერთობლივი პროექტის ექსპერტს - რ. ბოლქვაძეს, რომელმაც ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებაში დანერგილ სიახლეებზე და იმ მიღწევებზე, რომლებიც შესაძლებელი გახდა ერთობლივი პროექტის განხორციელებით. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოსახლეობის ჩართულობის აუცილებლობაზე.

მომხსენებელმა, ქ. ხომერიკმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და პროცედურული ნორმების დაცვით,, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად

მიიჩნიეს ანგარიშის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განსახილვისა და დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი